სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 321

ქ. ბათუმი 12 დეკემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“/„ბსუ“) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,შოთი-2007” (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ დონდოლაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასიე ცინცაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 18 01588380. 10/12/2018) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყივის) ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის „აჭარის მოსახლეობის მოკვდავობის ცხრილის აგება: ისტორიული მონაცემების სტატისტიკური შეფასება და მომავლის პროგნოზირება“ შედეგების წარდგენისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გასამართი სამუშაო შეხვედრის მონაწილეთათვის, სადილის (ლანჩის) გამართვა 15 (თხუთმეტ) ადამიანზე. CPV 79952000.

1.2. მომსახურებით გათვალისწინებული მენიუს დასახელება, პაკეტის რაოდენობა, ერთეულის ფასი მოცემულია დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი (ერთჯერადი) ჭურჭლით მომსახურების ადგილზე გაწევა.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ვალუტა - ლარი.

2.4. ანგარიშსწორება ,,შემსყიდველის” მიერ განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.5. დაფინანსების წყარო - მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის „აჭარის მოსახლეობის მოკვდავობის ცხრილის აგება: ისტორიული მონაცემების სტატისტიკური შეფასება და მომავლის პროგნოზირება“

2.6. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებს **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ასიე ცინცაძე.** შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2018 წლის 12 დეკემბერს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებელის” მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

7. ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2019 წლის 10 თებერვლამდე.

12. სხვა პირობები

12.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35
ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჯემალ ანანიძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. **„შოთი-2007“**
ქ. ბათუმი, გ. ბრწყინვალის ქ. 35/45
საიდენტიფიკაციო კოდი: 245625738
საბანკო რეკვიზიტები:

მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ანგარიშის № GE87TB7462736020100002
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი

გრიგოლ დონდოლაძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ფასების ცხრილი

	მენიუს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი)	საერთო ფასი ლარი)
1	-ხაჭაპური. - ქათმის მწვადი. - ისპანახის ღვეზელი. - კარტოფილის ღვეზელი. -ფხალის ასორტი. -კანაპე თევზით. - კანაპე ლორით. - ყველის ასორტი. - ხორციანი რულეტი. - პომიდორი შიგთავსით. - კანაპე ძეხვით. -წვენი „სანდორა“. - მინერალური წყალი.	პაკეტი	15	20	300

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 12 დეკემბერი , 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ჩვენ ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს, მიერ მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის „აჭარის მოსახლეობის მოკვდავობის ცხრილის აგება: ისტორიული მონაცემების სტატისტიკური შეფასება და მომავლის პროგნოზირება" შედეგების წარდგენისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გასამართი სამუშაო შეხვედრის მონაწილეთათვის, სადილის (ლანჩის) გამართვის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შ.პ.ს. „შოთი-2007 "-სთან. (ს. კ. 245625738).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გ. გვარიშვილი

შესყიდვების სამსახურის უფროსი გ. აბულაძე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ა. ცინცაძე

შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი დ. ბაბილოძე